# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 15 | კვირა, 18 ნოემბერი 1901 წ. | გაზეთის № 1645


## არწივის ბარტყი

(შვედური ზღაპარი)

დილა ადრიანი იყო. მზე ბრწყინვალედ ანათებდა. ახალგაზდა არწივი ნაღვლიანად იჯდა მაღლა კლდეში გაკეთებულს ბუდეში, თვალები ცისათვის მიეპყრო შორს სივრცეში და ჯერედ სუსტს ფრთებს ბრწყინვალე მზისაკენ აშვერდა. შინაგანი საიდუმლო ხმა ჩუმად ეუბნებოდა: „რად არა ცდილობ უფრო ახლოდან შეჰხედო ამ დღის მშვენიერს მნათობსა, მისს ელვარებასა და ნათელს დაეწაფო, განიბანო მისის სხივებითა და მათის სიცხოველით უჯრო მეტად გაძლიერდე?

ნუ თუ ესრეთს ახალგაზდას არ შეგიძლიან ისე მაღლა აფრენა, როგორც უფროსებს? მხედველობა მალი და სწრაფი გაქვს, ფრთები—ნორჩი და მძლავრი!... მაშ მაღლა, მაღლა, მზისკენ! ...

მშვენიერმა დილამ, ბრწყინვალე მზემ, ახალგაზდობის აღტაცებულმა გრძნობამ, რწმენამ ძალისა და ღონისამ განუსაზღვრელის სიხარულით აღუვსო გული ახალგაზრდა არწივსა... მიფრინავდა არწივი, იცქირებოდა გარეშემო და ახალის სიცოცხლით უზომოდ სტკბებოდა. აგერ ას წლოვანს მუხას მიაღწია და ზედ შემოჯდა.

მუხის ტოტები დაკუნწლული იყო სხვა-და-სხვა ფრინველებით, რომელთაც არწივის გაბედული განზრახვა უკვე შეეტყოთ.

— ტრი-ალლა! ტრიალ-ლა! კეთილი იყოს შენი მგზავრობა,—უგალობდნენ ტოროლები!

— მაღლა, არწივო, მაღლა! მთელის გვარის სიამაყე და დამამშვენებელი იქნები!

— გაბედვით!—მისძახოდა პატიოსანი ნემსი-ყლაპია,—გაბედვით, ჩემო საყვარელო მეგობარო!

— ბარაქალა დაო!—უმღეროდნენ მწვანე კუნძულებ შუა მოცურავი თეთრი გედები!

— კრა, კრა, კრა! საშიშია ეგ შენი მოგზაურობა... უფრთხილდი.

— კრრრ... კრრრ... კრრრ...—ღუღუნებდნენ მტრედები,—რად ეძებ ბედნიერებას ეგრე მაღლა? სჯობს დარჩი სახლში, გამოსჩეკე ბარტყები, შემდეგ აღზარდე და იცხოვრე ბედნიერად მრავალს წელს!

— აი ჰნახავ, ჰნახავ, რომ ამ შენს გაბედულს მოგზაურობას მხოლოდ უბედურობა მოჰყვება, სხვა არასფერი,—მისძახოდა ჰოტი.

— მხოლოდ უბედურება!—დაემოწმნენ ჰოტს შოშიები და თუთიყუშები.



Фотографія Егоровой.

დუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი კუბოში.

— ყოველისფერი კარგად ჩაივლის, კარგად,—სისინებდნენ ბატები!...

და აი ამ დროს ამავე მუხაზედ შემოჯდა ახალგაზრდა არწივი და ალერსიანად დაიწყო:



გამაჰმადიანებული აჭარელი ქართველები



პორტრეტი, კარანდაშით დახატული მომცემიძის მიერ.

— მგზავრობა დიდებული ამოგირჩევია, საუცხოვოა, მაგრამ მეტად გრძელი და შორია, ძალა და ღონე კი ამისთვის მცირედი გაქვს. ნება მომეცი მეც შენი თანამგზავრი ვიყო. როცა ეგ შენი ნორჩი ფრთები დასუსტდებიან, ჩემსას შემოგაშველებ და დაგიფარავ თვალებს, როდესაც მზის ბრწყინვალებასა და ნათელს ველარ გაუძლებ; შიშის დროს კიდევ ჩემს ბუდეში დაგმალავ, რომელიც მიუვალს მაღალს კლდეში მაქვს გაკეთებული და მეც მფარველად გეყოლები მუდამ.

მადლობის თვალით გადაჰხედა არწივმა და მოისმინა ყოველივე, მაგრამ კეთილშობილური წადილი მეგობრისა უარ ჰყო.

— არა, მსურს დამოუკიდებელი ვიყო, ჩემს ბედს თვად მოვუარო, —მიუგო პასუხად ალერსიანად მოლაპარაკე არწივსა.

დანარჩენი ფრინველების მიძახილს კი სრულიად ყური არ ათხოვა, თითქოს არც კი ესმისო, იდუმალი ხმა კი ისევე ეუბნებოდა: „გასწი მაღლა მზისაკენ“!

არწივმა ფრთები გაისწორა და სინათლის ეშხით გატაცებულმა ისევ მაღლა-მაღლა გასწია!

დაღონდა ახალგაზდა არწივი, მაგრამ მალე ამანაც ფრთები გაშალა, თავ ნება მეგობარს თვალი მოაშორა, სხვა მეგობარი იშოვა და მასთან ერთად თავისს ბუდისაკენ გასწია.

სინათლის მაძიებელი არწივი კი მარტოდ აპობდა ღრუბლებსა და თან-და-თან უახლოვდებოდა მზეს... მაგრამ უცბად თვალთ დაუბნელდა, თავ-ბრუ დაეხვა...

მაღლა ასვლა ველარ შესძლო და უნებურად დაბლა დედა-მიწისაკენ დაეშვა.

ამ დროს საიდანღაც მონადირე გამოჩნდა, მოსწია შვილდსა და არწივს ისრით გული გაუპო.

არ ეღირსა ამ რიგად საბრალოს მზის ნახვა, და უდაბურს ტყეში ჩავარდა. ჰგრძნობდა საბრალო, სიკვდილის ჟამი როგორ უახლოვდებოდა და თან შავად დაბურული ტყე თავისს წყვდიადში როგორ ჰმალავდა, ვიდრე ცნობის მოყვარეთა თვალს სრულიად არ მიაფარა იგი.

მთლად სისხლისაგან დაცლილი და თვალცრემლიანი არწივი ბოლოს ფიჭვის ტოტს ჩამოეკიდა.

— კარგია, კარგი,—ჩურჩულობდა არწივი,—რომ მარტოდ მაინც მომიხდა სიკვდილი და გარეშე თანამგრძნობნი და

მოწმენი არა მყვანან.

მაგრამ ამ დროს უცბად მტრედის ღუღუნი შემოესმა:

— შვილებო, არწივის ბარტყს არ წაჰბაძოთ, თავნებობა მუდამ ასე ისჯება! უფრთხილდით და იზრუნეთ თქვენის მყუდრო ბუდეებისთვის მინდვრად და ბედნიერად იცხოვრებთ დიდხანს.

— შემცდარვარ, — წამოიძახა დასუსტებულის ხმით არწივმა, — ამპარტავნობამ და სიამაყემ გამიტაცა, ცუდად მოვი-



**მოკვეთილი თავი იოანე ნათლისმცემლისა. — ქანდაკება ანტოკოლსკისა.**

ქეც, ცუდად, ახალგაზდობის გატაცებას ავყევი და დავისაჯე. მაგრამ ბედს არ ვაყვედრი, ვემორჩილები. არ ვსწუხვარ, რადგანაც მზე მაინც შედარებით ახლოსა ვნახე.

— აი ჰხედავ, ჰხედავ! — გაჰყვიროდნენ საცოდავად ჭოტები.

— აი, ჰხედავ, ჰხედავ! — იმეორებდნენ შოშიები და თუთიყუშები.

— ყოველისფერი კარგად იქნება, კარგად, — მხიარულად სისინებდნენ გარეული ბატები და მიფრინავდნენ.

— ვკვდები, — წაიჩურჩულა არწივმა, — მაგრამ მზე მაინც ახლოსა ვნახე. ამითაც კმაყოფილი ვარ!.. და ნაძვის ტოტიდან ფრთხიალით ძირს დაეშვა... მოკვდა...

**ანიკო**

# ნარევი და გასართობი

**ვირთაგვების ამოწყვეტა.** გარდა ექიმ ისტამანოვისა და ქალაქის საავადმყოფოსა, სხვაგანაც თაგვები დიდი საზრუნავი საგანი ყოფილა. როგორც ვიცით, სამკურნალო მეცნიერების შეხედულებით თაგვები მეტად საშიში არიან გადამდებ სენის გავრცელების საქმეში. რადგან ეხლა დიდი შიშიანობაა შავის ჭირის გამო, კოპენჰაგენში შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი თაგვებისა და ვირთაგვების ამოსაწყვეტად. აგვისტოში კომიტეტმა გამართა თავისებური გამოფენა შემდეგის სახელწოდებით: „პირველი საერთაშორისო გამოფენა თაგვების დასაჭერ ხაფანგებისა და თაგვების ამოსაჟლეტ სხვა საშუალებებისა“. ამ გამოფენის შემოსავლისა და შემოწირულებათა საშუალებით კომიტეტმა მედგარი ბრძოლა გამოუცხადა თაგვებს: ერთ თაგვის მოკვლაში კომიტეტი ექვს კაპეიკს იძლევა. თვრამეტი კვირის განმავლობაში ასი-ათასზე მეტი თაგვი ამოუჟლეტიათ.

დანიის პატარა ქალაქ შირაბოში ამავე ხნის განმავლობაში დაუხოცნიათ თოთხმეტი ათასი თაგვი, ესე იგი ხუთჯერ მეტი, ვიდრე ამ ქალაქში მცხოვრებლებია.

შვეციაში პირველ მარტიდან პირველ აგვისტომდე დაუხოცნიათ სტოკჰოლმში ასი ათასზე მეტი და მალმოეში ათი ათასი.

ეხლა დანიის კომიტეტს განზრახვა აქვს აღძრას კითხვა თაგვების საერთაშორისო ამოჟლეტაზე, რადგან თაგვები, როგორც ვიცით, არა მარტო ეპიდემიის გამავრცელებელნი არიან, ისინი მეტად დიდ ზარალს აყენებენ ჭირნახულსაც.

* * *

მოლა ნასრედინას ოხუნჯობა და მოსწრებული სიტყვა განთქმულია და ყველამ იცის, მაგრამ შემდეგი მისი „აფორიზმი“ ქართულად არ შეგვხვედრია და მოგვყავს: „ბავშვებმა მიუტანეს მოლა ნასრედინას ერთი პატარა ტომარა კაკალი და სთხოვეს გაეყო ეს მათ შორის ისე, როგორც ღმერთი გაყოფდა. ნასრედინაც დათანხმდა, აიღო ერთი კაკალი ერთს მისცა, ერთი მუჭა მეორეს და დანარჩენი მესამეს. როცა ბავშვები გაკვირდნენ და უკმაყოფილონი შეიქმნენ, აღმოსავლეთის ფილოსოფოსმა სთქვა.

— ამ გვარია განაწილება ღვთის წესის მიხედვით, მაგრამ მოითმინეთ, ეხლა მე გავანაწილებ თქვენს კაკლებს ღვთის მსახურის წესისამებრ. და ტომრით მიტანილი კაკალი თანასწორად გაუყო ბავშვებს.



—უკაცრავად, მე ქალაქის აგენტი გახლავართ, ძაღლები ხომ არა გყავთ, ხარჯი უნდა გამოგართვათ?



—როგორ არა, ბევრი!...



აგენტი „მინჯავ“—აქვს ძაღლებს ნიშნები რომ ხარჯი გადახდილია თუ არა?




ანდუყაფარ სანადიროთ საქართველო შეჰყარაო,
ჯეირანი ხომ ვერ მოკლა, ბეკრმა სხვამაც დასცარაო;
გაგვირისხდა ანდუყაფარ, დაჰკრა ბუკი, ნაღარაო,
აღიჭურვა ქურქ-ბურნუსით, (არ შემცივდესო, აღარაო),
მხარზე გადაიგდო აბგა, შიგ კალმები ჩაჰყარაო,
პასუხი ჯიბეებში აქვს, უხერხო და ჭაღარაო...

რედაქტორი
ალ. ჭყონია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Ноября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.